საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-124

23/02/2022

ქ. თბილისი

„ინდივიდუალური მეწარმე „დავით სტეფნაძე“-ს ცემენტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 15 აგვისტოს №ი-221 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2022 წლის 31 იანვარს სამინისტროს მომართა ი/მ დავით სტეფნაძემ და ითხოვა 2012 წელს გაცემული №29 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ი/მ „დავით სტეფნაძის“ ცემენტის წარმოებაზე (ქ. კასპი, საკაძის ქ. №4) გაიცა №29 (14/08/2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო 2015 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ი/მ დავით სტეფნაძის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ინდივიდუალური მეწარმე „დავით სტეფნაძე“-ს ცემენტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 15 აგვისტოს №ი-221 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ი/მ დავით სტეფნაძეს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ დავით სტეფნაძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი